

ნიკოლოზ ცქვიტინიძე

თეთრამინის ენეოლითური ნამოსახლარი

თეთრამინის ნამოსახლარი მდებარეობს ქუთაისის მიდამოში, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირის დიდი ზომის გორაზე, რომელსაც რამდენიმე ჰექტარი უკავია და ზღვის დონიდან დაახლოებით 293 მეტრის სიმაღლეზეა განლაგებული.

გორა თეთრამინაზე 1924-1938 წლებში მხარეთმცოდნე პ. ჭაბუკიანმა მრავალრიცხოვანი ზედაპირული არქეოლოგიური მასალა შეაგროვა. შეგროვებული კოლექცია შეიცავს როგორც პალეოლითურ, ასევე ნეოლითურ და ენეოლითურ მასალას. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ ძეგლებს შორის, თეთრამინის ნამოსახლარი ყველაზე გამორჩეულია, რადგან დღემდე გათხრილ „ღია“ ტიპის ნამოსახლარებზე მხოლოდ თეთრამინაზეა დადასტურებული პალეოლითური, ნეოლითური და ენეოლითური მასალა ერთად, რის გამოც თეთრამინის კოლექცია ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და მრავალკომპონენტური ნაწილია. მოპოვებული მასალის ძირითადი ნაწილი ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება, ხოლო კოლექციის ძალზე მცირე ნაწილი – საქართველოს ეროვნული მუზეუმის ქვის ხანის ფონდში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს „ღია“ ტიპის ენეოლითური ნამოსახლარები შედარებით ცუდადაა შესწავლილი და ამ ტიპის მხოლოდ სამი ძეგლია გამოვლენილი. (ძვერის ენეოლითური ნამოსახლარი [6], ახალსოფელი ოკრიბაში [4] და თეთრამინა).

ამჯერად, ჩვენს ყურადღებას ნეოლით-ენეოლითის ხანის მასალაზე შევაჩერებთ და ვეცდებით შემოგთავაზოთ მისი ჩვენეული ინტერპრეტაცია.

თეთრამინის სამოსახლოს ნაშთი საყურადღებო ძეგლია უპირველეს ყოვლისა იმ ნიმუშების გამო, რომლებიც აქ დადასტურდა.

როგორც აღვნიშნეთ, მასალა ზედაპირულად იქნა შეკრებილი, რადგან აღნიშნული ტერიტორია სადღეისოდ მჭიდროდაა დასახლებული, ხოლო კულტურული ფენები მიწის სამუშაოების გამო ძლიერ დაზიანებულია. ამასთანავე თეთრამინის გორა ამ რეგიონის ბორცვოვანი რელიეფის ნაწილია, რომელიც გეომორ-

ფოლოგიურად ცარცული კირქვებითაა აგებული და კარსტულ-ეროზიული პროცესებით დასერილი. ამ პროცესების შედეგად ფენები დიდ ნაწილში გაშიშვლებული და გადარეცხილია, ხშირად დედაქანამდე. ამიტომ აქ უძრავი კულტურული ფენის პოვნა საკარაუდო არ იყო.

მასალის აღმოჩენის ასეთი ვითარება აძნელებდა მის ასაკობრივ დანაწევრებას და კულტურული ფენების მეცნიერული სიზუსტით შესწავლას. ჯერ კიდევ 40-იან წლებში ბ. კუფტინმა ამ ძეგლზე სცადა უძრავი ფენის პოვნა, მაგრამ უშედეგოდ.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ კოლექციაზე დაყრდნობით 1951 წელს ნ. ბერძენიშვილმა (კილაძე) გამოაქვეყნა ნაშრომი „ახალი ქვისხანის ძეგლები თეთრამინიდან“ [2:277-288].

ნაშრომში ნ. ბერძენიშვილი მიმოიხილავს თეთრამინაზე აღმოჩენილ კოლექციას, რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. იგი ამ კოლექციას განვითარებული ნეოლითით ათარილებს.

ბ. პიოტროვსკი თეთრამინის ნამოსახლარს ნეოლითის დასასრულით და ენეოლითის დასაწყისით ათარილებს [8:28].

აღნიშნული არქეოლოგიური კომპლექსის ანალიზის საფუძველზე დ. თუშაბრამიშვილი და ლ. ნებიერიძე მას ენეოლითურად მიიჩნევდნენ [1:76-84].

1977 წელს წყალტუბოს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით აწარმოვა არქეოლოგიური გათხრები მცირე ტერიტორიაზე (ტაბ.) [7:17-18]

გათხრისას გამოვლინდა ოთხი ფენა: (ტაბ. I)

1) 0.5 მ სიმძლავრის ჭუმუსის ფენა, არქეოლოგიური ნაშთების გარეშე.

2) 0.8 მ სიმძლავრის მუქი ყვითელი თიხნარი, რომელიც შეიცავდა მცირე რაოდენობით არქეოლოგიურ მასალას.

3) 0.7 მ სიმძლავრის განამარხებული ჭუმუსის ფენა, რომელიც შეიცავდა დიდი რაოდენობით არქეოლოგიურ მასალას.

4) 0.2 მ სიმძლავრის ღია ყვითელი თიხნარი, დაღეძილი მოცემული ტერიტორიის მატერიკული კირქვის ფენებზე.

მეორე ფენაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის უმეტესი ნაწილი კერამიკის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი, რომელიც ხელით არის ნაძერწი და შეიცავს დიდი რაოდენობით კირის ნაწილაკებს. ამავე ფენაში გამოვლინდა კაყის და რიყის ქვის იარაღები, ასევე ფიქლის სამაჯურის ფრაგმენტი [7:18].

სტრატиграფიული მდგომარეობა და არქეოლოგიური ნაშთების დადასტურება უეჭველად მეტყველებს იმაზე, რომ 1977

წლის წყალტუბოს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ თეთრამინის ბორცვზე, დააფიქსირა უძრავი არქეოლოგიური ფენები [7:18].

თეთრამინის არქეოლოგიური კომპლექსის დახასიათება კერამიკით გვინდა დავიწყოთ. კერამიკა მრავალრიცხოვანი, მაგრამ ფრაგმენტულია, რის გამოც არ ხერხდება მთლიანი ჭურჭლის აღდგენა (ტაბ. II, 2-6), თუმცა ცალკეული ნაწილების მიხედვით დაახლოებით მანაც შესაძლებელია მათ ფორმასა და სტრუქტურაზე მსჯელობა. თიხის ჭურჭელი დამზადებული უნდა ყოფილიყო ადგილობრივი თიხისაგან, რომელსაც ჭარბად ურევია კირი და კვარცი. კირის დიდი რაოდენობა და სუსტი გამოწვა მის დაშლას და დაზარავს უწყობდა ხელს. კერამიკა ძირითადად მოვარდისფროა, მისი როგორც ზედაპირი, ისე შიდაპირი ერთგვაროვანია, არის აგრეთვე რუხი ფერის ფრაგმენტებიც. ჭურჭელი ხელით ნაძერწი, სწორკედლა, უყურო და ბრტყელია ყოფილა; შემორჩენილ ფრაგმენტებზე არ შეიმჩნევა ანგობის კვალი, რაც შესაძლოა მასალის ცუდი დაცულობის შედეგი იყოს.

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკული ჰავა და მუავე ნიადაგები ხელს უშლიდა ნამოსახლარზე კერამიკის შენახვას. ყველაზე უკეთაა შემორჩენილი ენეოლითური ჭურჭლის პირ-გვერდის ნაწილი, რომელსაც აგრეთვე დიდი რაოდენობით ურევია კვარცის ნაწილაკები. ძირი ბრტყელია კედელი კი სწორი. ყურის მაგივრობას სწევს პირთან ბრტყელი, განიერი, დიდი ზომის შვერილი. პირი შემკულია კლაკნული ღრმულეებიანი ჭდეებით (ტაბ. II, 1). ჭურჭლის პირის ამგვარი შემკობა დამახასიათებელია ოდიშისა და ანასეული II-ის გვიანეოლითური კერამიკისათვის. ჭურჭლის პირის შემკობა ღრმულეებითა და ჭდეებით გადმონაშთის სახით იშვიათად გვხვდება ენეოლითურ კერამიკაზე (სამეღე კლდე, სამერცხლე კლდე). უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც საქმე გვაქვს ჭურჭლის პირის შემკობის ნეოლითური ტრადიციის გადმონაშთთან.

რაც შეეხება ჭურჭლის პირზე მიძერწილ, ბრტყელ, განიერ შვერილს, ამგვარი შვერილები მხოლოდ ენეოლითური ხანის კერამიკაზე გვხვდება. მსგავსი სახელურები ცნობილი არ არის არცერთი მრავალრიცხოვანი ნეოლითური კოლექციიდან. ამგვარი შვერილები ყურის პროტოტიპს წარმოადგენდა, ხვრელიანი ყურები კი ოდნავ მოგვიანებით ჩნდება. თეთრამინაზე 1977 წელის გათხრებისას აღმოჩენილი კერამიკული მასალა ზედაპირულად შეგროვებული კერამიკის ფრაგმენტების იდენტურია.

კაჟის სახიერი მასალა თეთრამირის კოლექციაში შედარებით მცირერიცხოვანია. მათი უმრავლესობა წარმოდგენილია მზა

იარაღებით, ძირითადად შუბის, ისრის და ნამგლისპირებით. საფხეკები და საჭრისები შედარებით ნაკლებია. დიდი რაოდენობითაა წარმოების ნარჩენები.

შუბისპირები გვხვდება სხვადასხვა ფორმის: ფოთლისებური, სამკუთხედისებური, სამკუთხა ფრთაამოლარული და რომბის ფორმის (ტაბ. III, 1-8). მათი უმრავლესობა ორმხრივდამუშავებულია მცოცავი წნევეთი რეტუშით. შუბისპირების უმეტესობა ყუნწიანია.

ისრისპირები ძირითადად სამკუთხედის ფორმისაა. ისინიც ორმხრივდამუშავებულია. ძირითადად გვხვდება ყუნწიანი და რამდენიმე ფუძეამოლარულიც (ტაბ. IV, 1-13). ამგვარი არტეფაქტები ხშირად გვხვდება ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებში. აღსანიშნავია ისიც, რომ თეთრამინაზე აგრეთვე აღმოჩენილია ლამელაზე დამზადებული რამდენიმე ცალმხრივდამუშავებული ისრისპირი. ფრთა-ამოლარული ისრისპირები გვხვდება გვიანეოლითურ კოლექციებშიც (ოდიში, ანასეული), მაგრამ ძალზე მცირე რაოდენობით (სულ რამოდენიმე ცალი). სავარაუდოა, ამგვარი იარაღები არ უნდა ყოფილიყო ტიპური გვიანეოლითური პერიოდისთვის.

თეთრამინის ნამგლისპირები წარმოდგენილია ოთხკუთხა, სამკუთხა, და ზურგმორკალული ცალებით (ტაბ. V). მათი უმრავლესობა დაკბილულია და დაფარულია მცოცავი წნევეთი რეტუშით. ისინი მოხრილი ნამგლის ჩასართები უნდა ყოფილიყო. ამგვარი ნამგლისპირები დამახასიათებელია ენეოლითური „ღია“ ნამოსახლარებისათვის (ახალსოფელი, ტყიბულის რაიონი. მე-შოკო სკალა და სხვ.) და ადრებრინჯაოს ხანისათვის [4:24; 9:89].

ნეოლითურ ძეგლებზე ნამგლისპირები აღმოჩენილი არ ყოფილა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თეთრამინაზე არ არის აღმოჩენილი გეომეტრიული ფორმის მიკროლითური იარაღები. წარმოების ნარჩენები წარმოდგენილია ნუკლეუსებით, ანატეც-ანამტვრევებით, ლამელებით, კაჟის კაჭრებით, რაც იმას მოწმობს, რომ კაჟის იარაღები ნამოსახლარის ტერიტორიაზე მზადდებოდა.

საფხეკები და საჭრისები ნეოლითურთან შედარებით, უფრო დიდი ზომისაა და საკმაოდ უხეში. ნეოლითურ ძეგლებთან შედარებით მათი რაოდენობა აქ კლებულობს, რაც საერთოდ დამახასიათებელია ენეოლითისათვის.

კოლექციაში მრავლადაა წარმოდგენილი რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული ხის დასამუშავებელი იარაღები: ცულები, სატეხები და სათლელეები. ამ იარაღებიდან რაოდენობრივად

ყველაზე მრავლადაა სატეხ-სათლელები, რომლებიც ქვის სხვადასხვა ქანებისგანაა დამზადებული. თითქმის ყველა მათგანი ტრაპეციული განივკვეთისაა, შემალელებული ზურგით და სწორი ან ოდნავ ირიბი საშუალო პირით. ისინი, როგორც წესი, ყუისაკენ ვიწროვდება, მათი დიდი ნაწილი ნაპრიალებია, მცირე ნაწილს კი ხაოიანი ზედაპირი აქვს. მათი სიგრძე საშუალოდ 3-5 სანტიმეტრამდე, სიგანე კი 2-4 სმ-დე მერყეობს. სათლელ-სატეხები კოლექციაში 137 ცალია. ცულები სატეხ-სათლელებთან შედარებით რაოდენობრივად ნაკლებია. სულ 71 ცალი. ისინი ძირითადად სოლისებური ფორმისაა, განივკვეთი კი ხან ოვალურია, ხან კი ტრაპეციული (ტაბ. VI, 1-5, 10-11). საშუალო პირი ზოგ ცალებზე კარგადაა ნაპრიალები, ზოგზე კი ნახეხია. ზედაპირი უმეტესად მოკოდილია. იარაღი ყუისაკენ ვიწროვდება, ოვალური პირი კარგადაა ნაპრიალები. ამგვარი სატეხები 1977 წლის გათხრების დროსაც დადასტურდა უძრავ ფენაშიც [7: ტაბ. XIII].

აღნიშნული ტიპის იარაღები დამახასიათებელია ენეოლითური ძეგლებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ცალპირლესილი ცულები მრავლადაა ენეოლითური ხანის ძეგლებზე – სამელე კლდე, სამერცხლე კლდე, საგვარჯილე.

ზოგიერთ ცულს შედარებით არქაული იერი აქვს, ამგვარი ცულები დამახასიათებელია ნეოლითური ხანის ძეგლებისათვის (ანასეული, ლუმურიში, კისტრიკი და სხვ.) (ტაბ. VII), თუმცა შესაძლებელია ენეოლითის ხანის ადრეულ ეტაპსაც მიეკუთვნებოდეს.

ქვის იარაღების შემდეგ ჯგუფს მინათმოქმედებათან დაკავშირებული ნივთები: ხელსაფქვავეები, ქვიჯები, სახეხები და საბეგველები წარმოადგენს.

ნამოსახლარზე ნაპოვნია ხელსაფქვავეები და მათი ფრაგმენტები – სულ 126 ცალი. მათი უმრავლესობა ნავისებური ფორმისაა, ე.ი. მოგრძო ფორმის ძირამობურცული, ზედაპირი კი ბრტყელი და ჩაღრმავებული აქვთ, რომლებზედაც ემჩნევა გამოყენების, ხეხვის კვალი (ტაბ. VIII). მოგრძო ფორმის ხელსაფქვავეები გვხვდება თითქმის ყველა ენეოლითურ ძეგლზე. კერძოდ – საგვარჯილეში, სამელე და სამერცხლე კლდეებში, ასევე ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე: ქვაცხელებსა და ხიზანანთ გორაზე.

თეთრამინაზე აღმოჩენილი ქვიჯების რაოდენობა 6 ცალს შეადგენს. მათი უმეტესობა დამზადებულია კირქვისაგან, იშვიათიად გვხვდება ბაზალტის. ყოველი მათგანი დიდი ზომისაა, მასიური, ზოგჯერ გვერდებზე შვერილებით. დიამეტრი – 17 სმ, სიმაღლე – 12-25 სმ, ღრმულის სიღრმე საშუალოდ 6 სმ-ია.

სანაყ ქვებად გამოიყენებოდა მოგრძო რიყის ქვები, მრგვალი ან ოვალური განივკვეთის. სანაყებად ასევე გამოიყენებოდა დაზიანებული ცულის ფრაგმენტები, რომლებსაც ბოლოებზე გამოყენების კვალი ეტყობა.

სახეხებად და საბეგველებად გამოყენებულია მომრგვალო ან მობრტყელო რიყის ქვები, რომლებსაც თავსა და ბოლოებში ეტყობა ინტენსიური გამოყენების კვალი.

ყველაზე მნიშვნელოვანი სამინათმოქმედო იარაღებია სხვადასხვა ქანებისაგან დამზადებული მაკროლითები. ისინი დიდი ზომისაა და მზადდებოდა ორმხრივი ათლის ტექნიკით (ტაბ. IX, 1-6, 11, 14, 15-16). წვერნამახულ მაკროლიტებს წერაქვის დანიშნულება უნდა ჰქონოდა, პირფართო მაკროლიტებს კი თოხის. ზოგიერთი მაკროლითი ცულების ნამზადებსაც წარმოადგენდა.

ნამოსახლარზე აღმოჩენილია „სოჭი-ადღერის“ ტიპის თოხები, რომელიც დამახასიათებელია ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ენეოლითური ხანის ძეგლებისათვის. აღნიშნული ტიპის თოხები ცნობილია, როგორც ყუბანისპირეთის ძეგლებიდან, ასევე წინააზიის ენეოლითური ფენებიდან: თელ ჰასუნა, ჯემდეთ ნასრა, სუზა და სხვ. [9:60].

კოლექციაში წარმოდგენილი ნამგლისპირები, წერაქვისებური და თოხისებური მაკროლითები, ასევე ხელსაფქვავეებისა და ქვიჯების სიმრავლე ამკარად მოწმობს თეთრამინის ნამოსახლარზე განვითარებული მინათმოქმედების არსებობას. ისრისა და შუბისპირების სიმრავლე კი მონადირეობაზე უნდა მიუთითებდეს. ზუსტი პარალელები ამ იარაღებს ჩრდილო კავკასიაში ეძებნება, კერძოდ, ყუბანისპირეთის ენეოლითურ ნამოსახლარებზე: მეშოკო, სკალა, ვესიოლისა და სხვა ენეოლითურ ძეგლებში.

რაც შეეხება ოსტეოლოგიურ მასალას, 1977 წლის გათხრებისას დადასტურდა მცირე რაოდენობით [7:18]. ოსტეოლოგიური მასალა განსაზღვრა პალეონტოლოგმა აბესალომ ვეკუამ, როგორც ჯიხვის და ხარის ძვლები, ასევე აღმოჩნდა ირმის კბილი [11; 12]. ამავე პერიოდის მღვიმურ ნამოსახლარებზე (საგვარჯილე, სამელე და სამერცხლე კლდეები, ძუძუანა და სხვ). მრავლადაა ძვლოვანი მასალა, რაც ამ პერიოდში განვითარებულ მეცხოველეობაზე მიუთითებს.

ნამოსახლარზე ზედაპირულად იყო შეგროვებული ფიქლის სამაჯურის ფრაგმენტები. ფიქლის სამაჯურის ფრაგმენტი ასევე აღმოჩნდა 77 წლის გათხრებისას [7:18] (ტაბ. XI, 19-25).

თეთრამინის ნამოსახლარიდან არ გვაქვს ნახშირბადული თარიღები, ამიტომ ამ კომპლექსის დათარიღებისას ძირითადად

უნდა დავეყრდნოთ შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის შედეგებს და აგრეთვე გამოვიყენოთ გამორიცხვის მეთოდი, სინქრონულ ძეგლთა ნახშირბადული თარიღები. თუმცა უნდა აღინიშნოს, ამგვარი თარიღი ჯერჯერობით მხოლოდ ერთ მღვიმურ ნამოსახლარს, ძუძუანას გააჩნია. ეს თარიღი კალიბრებულია და ძეგლი ძვ. წ. V ათასწლეულის ბოლოთი თარიღდება (TB-315-4366±217).

თეთრამინის ნამოსახლარის კომპლექსის ცალკეულ კომპონენტებს, მაგ., შუბისპირებს და ისრისპირებს მრავალი პარალელი გააჩნიათ მღვიმურ და „ღია“ ენეოლითური ნამოსახლარების (სამელე და სამერცხლე კლდეები, საგვარჯილე, დარკვეთი, ახალსოფელი-ტყიბულთან, ჩიხორი, ძვერი) კულტურულ ფენებში. ნამგლისპირებს კი პარალელები ეძებნება მხოლოდ „ღია“ ენეოლითურ ნამოსახლარებზე. მღვიმეებში ნამგლისპირები არ გვხვდება. აღნიშნულ იარაღებს ანალოგები გააჩნია აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მეშოკოს ენეოლითურ ნამოსახლარზე.

ფიქლის სამაჯურებს ზუსტი პარალელები მოეძებნება საგვარჯილის, ჩიხორის, და ახალსოფლის ნამოსახლარების სამაჯურებთან (ტაბ. XI, 6-18, 26-29), ასევე ყუბანისპირეთის ძეგლებზე (მეშოკო, სკალა, კმენომოსტსკაია, ვესიოლი) [9:77; 10:109] (ტაბ. XI, 1-5). ფიქლის სამაჯურები პირველად ჩნდება ენეოლითურ ძეგლებში. კავკასიის ტერიტორიაზე, არც ერთ ნეოლითურ ძეგლზე სამაჯური არ არის აღმოჩენილი. თეთრამინის სამაჯურების პარალელები ცნობილია მეშოკოს ენეოლითური ნამოსახლარიდან.

თეთრამინის და საერთოდ დასავლეთ საქართველოს ენეოლითური არტეფაქტების ზუსტი პარალელების არსებობა მეშოკოს ენეოლითური ნამოსახლარის მასალებში უნდა მიუთითებდეს დასავლეთ საქართველოსა და ყუბანისპირეთის ენეოლითური ტომების მჭიდრო კონტაქტებზე აღნიშნულ ეპოქაში. თარიღისათვის საინტერესო დასკვნის შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტი, რომ წერაქვისებურ და თოხისებურ მაკროლითებს პარალელები ეძებნება მხოლოდ ნეოლითურ კომპლექსებში: ოდიში, კისტრიკი. ამიტომ, აღნიშნული პარალელების გათვალისწინების საფუძველზე მივდივართ დასკვნამდე, რომ თეთრამინის გორა უწყვეტად იყო დასახლებული ქვედა პალეოლითიდან (ქვედა პალეოლითური მასალა დ. თუშაბრამიშვილმა განსაზღვრა [1: 76-84]) დღემდე, თუმცა კოლექციის ძირითადი მასალა და 1977 წლის გათხრებისას აღმოჩენილი არტეფაქტები ენეოლითის ეპოქას განეკუთვნება.

ლიტერატურა

1. თუშაბრამიშვილი დ., ნებიერიძე ლ., საქართველოს ზოგიერთი „ენეოლითური“ ძეგლის დათარიღებისათვის, „მაცნე“ № 4, თბილისი, 1971
2. კილაძე ნ. (ბერძენიშვილი), ახალი ქვისხანის ძეგლები თეთრამინიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 29, 1951
3. ნებიერიძე ლ., დარკვეთის მრავალფენიანი ეხი, „მეცნიერება“, თბილისი, 1978
4. ნებიერიძე ლ., ადრესამინათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი ოკრიბაში, „ძიებანი“, №8, თბილისი, 2001
5. ნებიერიძე ლ., მღვიმე საგვარჯილეს ენეოლითური ხანის ნამოსახლარი, თბილისი, 2003
6. ნებიერიძე ლ., ძეგრის ენეოლითური ნამოსახლარი, „ძიებანი“, №15-16, თბილისი, 2005
7. Каландадзе К., Бердзеришвили Н., Небиеридзе Л., Хубутиа Г., Чумбуридзе З., Каландаришвили Ш., Кинцурашвили О., Краткие итоги работ Цкалтубской археологической экспедиции, ПАИ в 1977 году, «Мецниереба», Тбилиси, 1980
8. Пиотровский Б.Б., Археология Закавказья с древнейших времен до I тысячелетия до н. э., Ленинград, 1949
9. Формозов А. А., Каменный век и энеолит Прикубанья. «Наука», Москва, 1965
10. Формозов, А. А.; Столяр, А. Д.; Неолитические и Энеолитические поселения в Краснодарском крае. Академии наук СССР, Советская Археология, № 2, 1960
11. ნ. ბერძენიშვილის საველე დღიურები
12. ლ. ნებიერიძის საველე დღიურები

Chalcolithic settlement of Tetramitsa

Abstract

Following article is about open air settlement which is located on Tetramitsa hill (in Kutaisi). Most of the materials were collected on the surface and are out of context; only small part of collection was obtained from archaeological excavations in 1977.

Archaeological collection from Tetramitsa is reach and contains materials from early Paleolithic to Classic period.

In our field of interest are materials of the early agriculture which is main part of the collection.


About this part of collection were two controversial opinions. On one hand it seemed to be Neolithic materials, but the other hand it has similarities to Chalcolithic settlements of west Georgia and surroundings of Kuban river.


We carried out comparative typological analysis of the materials and we have concluded that, this part of collection contains both, as Neolithic as Chalcolithic materials, but major part of whole collection should be dated as Chalcolithic period (including excavated materials 1977).

We should note that in western Georgia are found only three open air settlements of Chalcolithic period.


ტაბულების აღწერა

- ტაბ. I 1977 წლის გათხრების გეგმა და ჭრილი, თეთრამინა
- ტაბ. II 1: ტაფისებური ჭურჭლის ძირის და პირის ფრაგმენტი; 2-6: კვარცნარევი კერამიკის, უსახო ფრაგმენტები, თეთრამინა
- ტაბ. III შუბისპირები: 1-8: თეთრამინა, 9-14: საგვარჯილე, 15-21: ძვერი, 22-29: ახალსოფელი, ტყიბულის რაიონი
- ტაბ. IV ისრისპირები: 1-13: თეთრამინა, 14-20: ახალსოფელი, ტყიბულის რაიონი; 21-28: საგვარჯილე
- ტაბ. V ნამგლისპირები: 1-9: თეთრამინა, 10-15: ახალსოფელი, ტყიბულის რაიონი; 16, 19: სევასტოპოლსკაია (ა. ფორმოზოვის მიხედვით); 17: მეშოკო (ა. ფორმოზოვის მიხედვით); 18: სკალა (ა. ფორმოზოვის მიხედვით)
- ტაბ. VI სავარაუდოდ, ენეოლითის ხანის ცულები: 1-5, 10-11: თეთრამინა, 6-9: სამელე კლდე, 13-14: საგვარჯილე, 15-16: ძვერი, 17-20: ახალსოფელი, ტყიბულის რაიონი
- ტაბ. VII სავარაუდოდ ნეოლითის ხანის ცულები: 1-5, 12: თეთრამინა, 6-7, 13: ანასეული II, 8, 11: გურიანთა, 9-10: კისტრიკი, 14: ლუმურიში
- ტაბ. VIII ხელსაფქვავეები, თეთრამინა
- ტაბ. IX 1-6, 11, 14, 15-16: თეთრამინა; მაკროლითები: 7, 10-12: ოდიში, 8: გურიანთა, 9: გალი I
- ტაბ. X „სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხები: 1-2: მოლდოვკა, 3-4: თეთრამინა, 5-4: თელ ჰასუნა
- ტაბ. XI ქვის სამაჯურები: 1, 4, 3: მეშოკო, 2, 5: სკალა, 6-9: საგვარჯილე, 10-18: დარკვეთი, 19-25: თეთრამინა, 26-29: ძვერი







ტაბ. II




ტაბ. III




ტაბ. IV




ტაბ. V




ტაბ. VI




ტაბ. VII




ტაბ. VIII



ტაბ. IX



ტაბ. X



ტაბ. XI